სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი **2014 წლის 30 ივლისი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. ჩიტაძე სოფიო 5. გეგეჭკორი არნოლდი 6. ელიაშვილი მერაბი 7. თუთბერიძე ბეჟანი 8. ომანაძე როლანდი 9. კერესელიძე დავითი 10. ქურდიანი რევაზი 11. ბახტურიძე პაატა 12. კვერენჩხილაძე გიორგი 13. პაპაშვილი თამარი 14. იმნაძე პაატა 15. ოკრიბელაშვილი ნინო 16. გიორგაძე გიორგი 17. თურქიაშვილი შორენა 18. შამილიშვილი მანანა 19. წერეთელი მარი 20. ჩოხელი ლევანი 21. ბარამიძე ცირა 22. ბახტაძე მიხეილი 23. ბრაჭული ირაკლი 24. გელოვანი ნანი 25. სამხარაძე ლაშა 26. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. ქურდაძე რამაზი 4. დავითაშვილი ზურაბი 5. გერსამია მარიამი 6. ნადარაია ელიზბარი 7. კოპალეიშვილი მაია 8. სურგულაძე ნუგზარი 9. გველესიანი რევაზი 10. მარშავა ქეთევანი 11. თოდუა ფრიდონი 12. გალდავა გიორგი (დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი არნოლდ გეგეჭკორი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების უსასყიდლო სარგებლობის ფორმით გაცემის საკითხი.
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების დამტკიცება.
3. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №45/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №69/2014 დადგენილების დამტკიცება.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების უსასყიდლო სარგებლობის ფორმით გაცემის საკითხი და განაცხადა, რომ აღნიშნული წარმომადგენლობითმა საბჭომ წინა სხდომაზე უკვე განიხილა.

საკითხი ეხება სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოსათვის“ უნივერსიტეტისათვის სარგებლობაში გადმოცემული შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შენობის ნაწილის უსასყიდლო სარგებლობის ფორმით 6 წლის ვადით გაცემას. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის 2014 წლის 23 ივლისის N95/97 კორესპონდენციით ირკვევა, რომ სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოსათვის“ გადასაცემად, არასაკმარისად იქნა მითითებული შენობის მე-3 სართულიდან გადასაცემი ფართის ნაწილი. კერძოდ, შენობის მე-3 სართულზე გასაცემ ფართად, ნაცვლად 377,40 მ^2-ისა, მითითებულ იქნა 162,82 მ^2 ფართი. შესაბამისად, წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო 162,82 მ^2 ფართის გადაცემაზე. გადასაცემი ფართის ცვლილებაზე აუცილებელია წარმომადგენლობითმა საბჭომ განმეორებით გასცეს თანხმობა.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ დასძინა, რომ, მართალია, საკითხი, ერთი შეხედვით, პროცედურულია, თუმცა იგი ფონდისთვის მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს, რადგანაც ზუსტი ფართის არარსებობის პირობებში, ვერ დაიწყება სარემონტო სამუშაოები, რაც შეაფერხებს პროექტებს, რომელთა განხორციელებაც ფონდის მიერაა დაგეგმილი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 26

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოსათვის“ ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N5-ში მდებარე უნივერსიტეტისათვის სარგებლობაში გადმოცემული შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შენობის (საკადასტრო კოდი N01.15.03.028.001) ნაწილის (ფართი მოიცავს შენობის მეოთხე სართულს სრულად - ფართი 596,40 მ^2 და მესამე სართულის ნაწილს - ფართით 377,40 მ^2) უსასყიდლო სარგებლობის ფორმით, 2014 წლიდან 2020 წლამდე (6 წლის ვადით) გადაცემაზე შემდეგი პირობით: ჩაუტარდეს რემონტი შენობის კიბის უჯრედს პირველი სართულიდან მეოთხე სართულის ჩათვლით და აღიჭურვოს შესაბამისი განათებით.

2. ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებები და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების ნაწილი წარმომადგენლობითმა საბჭომ წინა სხდომაზე უკვე განიხილა. განხილული ცვლილებების პროექტი გადაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელმაც პროექტი რეკომენდაციებით დაუბრუნა უნივერსიტეტს. რეკომენდაციები ძირითადად უნივერსიტეტის წესდებაში დამატებითი ცვლილებების

განხორციელებასა და წესდების სხვა ნაწილების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას შეეხებოდა.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ განაცხადა, რომ წესდების ცვლილება, ასევე, გულისხმობს დეკანის მოადგილეებისათვის სპეციალური მოთხოვნის დაწესებას, კერძოდ, ამ თანამდებობის დაკავება შეეძლება პირს, რომელიც ფაკულტეტის პროფესორია ან იკავებს ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. აღნიშნული ცვლილება იმითაა განპირობებული, რომ დეკანის მოადგილეებს უწევთ მჭიდრო ურთიერთობა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით. შესაბამისად, ლოგიკურია, თუ მათ მაღალი აკადემიური სტატუსი ექნებათ. ამასთან, ეს ცვლილება 2015 წლის პირველი მარტიდან ამოქმედდება. დეკანის ის მოადგილეები, რომლებიც 1 მარტამდე ამ პირობას ვერ დააკმაყოფილებენ, ვეღარ გააგრძელებენ საქმიანობას აღნიშნულ თანამდებობებზე, თუმცა უნივერსიტეტი არცერთ ღირებულ კადრს არ დაკარგავს და ისინი ფაკულტეტებზე კვლავაც გააგრძელებენ მუშაობას.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - გიორგი კვერენჩხილაძემ და ელგუჯა მექვაბიშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 26

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: მიღებულ იქნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების პროექტი (დანართი 3) და დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

3. ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №45/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №69/2014 დადგენილება. მისი განმარტებით, მულტიმედია ცენტრის დებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა, შეიცვალა ცენტრის მართვის პრინციპი: თუკი ადრე ცენტრს დირექტორი მართავდა, ახლა მართვის ფუნქცია დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის განაწილდება.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ დასძინა, რომ მულტიმედია ცენტრი საკმაოდ წარმატებულად საქმიანობს, იგი აღჭურვილია ძალიან მაღალი დონის თანამედროვე აპარატურით და მის საქმიანობაში ჩაბმულნი არიან უნივერსიტეტის რამდენიმე ფაკულტეტის წარმომადგენლები. ცვლილებებით ცენტრში იქმნება სამეურვეო საბჭო, რომელშიც,

პროფესორებთან ერთად, სტუდენტებიც შევლენ და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შემუშავებაში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 26

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №45/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №69/2014 დადგენილება. (დანართი 4)

წარმომადგენლობითი საბჭოს
სხდომის თავმჯდომარე: არნოლდ გეგეჭკორი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2014 წლის 30 ივლისი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- ზარანდია ერეკლე
- ჩაბაკაური გიორგი
- ჩიტაძე სოფიო

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- კერესელიძე დავითი

- ქურდიანი რევაზი

სტუდენტები:

- ბახტურიძე პაატა
- გუბაძე ვასილი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- სამხარაძე ლაშა
- ჯღამაძე უჩა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2014 წლის 30 ივლისი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- გალდავა გიორგი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება № /ნ
2014 წლის ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში (www.matsne.gov.ge, , 11/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016655) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის:

1. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ლ) დეკანის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს დეკანის მოადგილეებს **სასწავლო** და **სამეცნიერო** სფეროებში;".

3. მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ი) ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს ფაკულტეტის ადმინისტრაციის პერსონალს;".

4. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ზ“ ქვეპუნქტი:
,,ზ) ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი.“ .

5. 21-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე, **სასწავლო** და **სამეცნიერო** სფეროებში.“.

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,4^1“ პუნქტი:

,,4^1. ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს.“.

გ) მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ვ) უნივერსიტეტის რექტორს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დეკანის მოადგილეების კანდიდატურებს;“.

დ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს დეკანის მოადგილე **სასწავლო** სფეროში, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი დეკანის მოადგილე **სამეცნიერო** სფეროში.“

6. 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

7. 51-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 51. გარდამავალი დებულებები
1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი 204864548) გარდაქმნის (რეორგანიზაციის) შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის

29 ივლისის N187 დადგენილების პირველი პუნქტის გათვალისწინებით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მოქმედი შემადგენლობის უფლებამოსილება გრძელდება 2014 წლის 20 ნოემბრამდე, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მოქმედი შემადგენლობისა და მისი სპიკერის უფლებამოსილება - 2014 წლის 2 დეკემბრამდე, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) უფლებამოსილება - დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

2. წესდების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნის (ჩამოყალიბების) მიზნით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს გამოეყოს ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა საგანმანათლებლო მიმართულება, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს - განათლების მეცნიერებათა საგანმანათლებლო მიმართულება და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი შეიქმნას ხსენებული საგანმანათლებლო მიმართულებების გაერთიანების გზით.

3. მართვის ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ წესდების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი პროცედურის განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. წესდების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნის მიზნით აუცილებელი ღონისძიებები (მათ შორის სარეორგანიზაციო ღონისძიებები) დასრულდეს არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრისა.".

8. 52-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

,,6. ამ წესდების 21-ე მუხლის 4^1 პუნქტი ამოქმედდეს, 2015 წლის 1 მარტიდან.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თამარ სანიკიძე

დადგენილება №69/2014
14 ივლისი, 2014

„ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №45/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის ‘‘უ‘‘ და „ღ‘‘ ქვეპუნქტების, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ‘‘ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც‘‘ და „ხ‘‘ ქვეპუნქტებისა და მულტიმედია ცენტრის № 21513/02, 11.07.2014 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ‘‘ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №45/2012 დადგენილების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ‘‘;

2. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ‘‘ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №45/2012 დადგენილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შეიქმნას „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - მულტიმედია ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი №1)‘‘;

3. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული - მულტიმედია

ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 11 ივნისის №45/2012 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №1).

4. წინამდებარე დადგენილების ძალაში შესვლიდან 1 წლის ვადის გასვლისთანავე აკადემიური საბჭოს მიერ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მონაწილეობით განხილულ იქნეს მულტიმედია ცენტრის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიში და საჭიროების შემთხვევაში დასმული იქნეს ცენტრის სტატუსისა და სტრუქტურის ცვლილების საკითხი.

5. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

6. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ის კანცელარიას.
7. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**

დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - მულტიმედია ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პრეამბულა

საქართველოს მოქალაქეები (განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა) სწავლის, სამეცნიერო მუშაობის თუ ინფორმაციის მიღებისა და გაცვლისთვის უპირატესობას ანიჭებენ ინტერნეტ რესურსებს. ინტერნეტ რესურსებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო საქმიანობისათვის. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მსოფლიოში დღეს პრიორიტეტი სწორედ ინტერნეტ-მედიას მიანიჭა, რადგან იგი ადვილად ხელმისაწვდომი გახდა მომხმარებლისათვის. სტუდენტთა ცხოვრებაში მულტიმედიის ცენტრს განსაკუთრებული ადგილის დამკვიდრება შეუძლია, ვინაიდან იგი, პირველ ყოვლისა, იქნება მათი დამხმარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო რესურსი. მულტიმედია ცენტრი ძირითადად მოიცავს ინტერნეტ-ტელევიზიის, ინტერნეტ-რადიოს, ინტერნეტ-გაზეთი/ჟურნალისა და სოციალური მედიის ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში: უნივერსიტეტი) მულტიმედია ცენტრი (შემდგომში – „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის უფლებამოსილებები

ცენტრის უფლებამოსილებებია:

ა) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში ფაკულტეტის) ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანად განხორციელების და სწავლების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ხელშეწყობა;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, შესაბამისი პროცედურების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა;

გ) საკუთარი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

დ) სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაცია;

ე) სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მასალების, გზამკვლევების და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ვ) საპარტნიორო და დონორ ორგანიზაციებთან, მედია ორგანიზაციებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა;

ზ) განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;

თ) უნივერსიტეტის ცხოვრების, ისტორიისა და საქმიანობის პოპულარიზაციის გაშუქების ხელშეწყობა;
ი) მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
კ) ცენტრის საქმიანობაში სტუდენტთა ჩართვის ხელშეწყობა;
ლ) უნივერსიტეტის მედია არქივის შექმნა, განახლება და განვითარება;
მ) უნივერსიტეტის საარქივო კინო-ტელე მასალების დახარისხება, დაარქივება და სისტემატიზება, მათი ციფრულ მატარებლებზე გადატანა;
ნ) საკუთარი ვებგვერდის ადმინისტრირებისთვის აუცილებელი პროცედურების განხორციელება;
ო) საგანმანათლებლო ტრენინგების ორგანიზების ხელშეწყობა;
პ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური აქტებით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრის სტრუქტურაში ერთიანდება ცენტრის დირექტორი და ცენტრის სამეურვეო საბჭო.
2. ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ცენტრის საქმიანობის პოლიტიკის განმსაზღვრელი უმაღლესი მმართველობითი ორგანო არის ცენტრის სამეურვეო საბჭო (შემდგომში - ,,საბჭო“).
4. საბჭო იქმნება ყოველწლიური როტაციის პრინციპზე დაყრდნობით და შედგება 9 წევრისგან, რომელთაც თანამდებობაზე ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
5. საბჭოს წევრობა ანაზღაურებადი არ არის.
6. საბჭოს შემადგენლობა კომპლექტდება შემდეგი წესით:
ა) 4 წევრი შეირჩევა სტუდენტთაგან, საუკეთესო აკადემიური მოსწრებისა და სამოტივაციო წერილის გათვალისწინებით - 3 წევრი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარდგინებით (2 წევრი ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის მეშვიდე ან მერვე სემესტრის სტუდენტებიდან, 1 წევრი ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებიდან), ხოლო 1 - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების საგანმანათლებლო მიმართულებიდან, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, დეკანის თანხმობით.
ბ) 5 წევრი შეირჩევა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან, ამ ფაკულტეტების წარდგინებით - 4 სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორთაგან, ხოლო 1 - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების საგანმანათლებლო მიმართულების პროფესორთაგან.
4. საბჭოს უფლებამოსილება:
ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ცენტრის საქმიანობაში ჩართული სუბიექტების უფლებამოვალეობების, შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობების შესახებ;
ბ) ირჩევს ცენტრის ტექნიკურ მენეჯერს;
გ) კოორდინაციას უწევს ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო მიმართულების სწავლების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების საგანმანათლებლო მიმართულების მიერ საბჭოს განსახილველად წარდგენილი და დამტკიცებული პროექტების პრაქტიკულ განხორციელებას;

დ) კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად, შესაბამისი პროცედურების განხორციელებას;
ე) კოორდინაციას უწევს სტუდენტთა ეფექტიან ჩართვას ცენტრის საქმიანობაში;
ვ) კოორდინაციას უწევს ცენტრის ვებგვერდის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი პროცედურების განხორციელებას;
ზ) რეკომენდაციით მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ამ დებულებით გათვალისწინებული ცენტრის უფლებამოსილებების შესასრულებლად დამხმარე პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე;
თ) პასუხისმგებელია ამ დებულებით, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური აქტებით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელებაზე.
5. ცენტრის უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებია: ცენტრის დირექტორი, ცენტრის ტექნიკური მენეჯერი.

მუხლი 4. საბჭოს სხდომა
1. საბჭო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ერთხელ.
2. საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი საბჭოს შემადგენლობიდან. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რომელსაც ირჩევს საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობა.
3. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ან ცენტრის დირექტორის ინიციატივით. საბჭოს წევრებს სხდომის ჩატარების შესახებ უნდა ეცნობოთ სხდომამდე ორი დღით ადრე. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა, სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.
4. საბჭოს გადაწყეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს, საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი. საბჭოს მდივანს ირჩევს საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

მუხლი 5. ცენტრის დირექტორი
1. ცენტრის დირექტორი:
ა) კოორდინაციას უწევს ცენტრში დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას;
ბ) პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
დ) საბჭოს არაუგვიანეს ყოველი წლის მეორე კვარტლის დასრულებისა წარუდგენს განვლილი აკადემიური წლის საქმიანობის ანგარიშს;
ე) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც საბჭოს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
ვ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.
2. ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე.
3. ცენტრის დირექტორს საკუთარი საქმიანობის განხორციელებაში დახმარებას უწევს ცენტრის ტექნიკური მენეჯერი.
4. ცენტრის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს ცენტრის ტექნიკური მენეჯერი.

5. ცენტრის დირექტორი წარმოადგენს ცენტრის განკარგულებაში არსებულ ქონებაზე (მათ შორის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი, პროფილური ქონება) მატერიალურად პასუხისმგებელ პირს. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით ქონების სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად გაცემა კონტროლდება უშუალოდ ცენტრის დირექტორის მიერ და ხდება სტუდენტის განცხადებისა და სტუდენტის ან/და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 6. ცენტრის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 7. ცენტრის ფინანსები

ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსება;

ბ) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

გ) ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავლები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;

ე) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.